ვამტკიცებ
ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის
დირექტორი ნინო ჯანჯღავა

_____

ბრძანება№201; 24 ოქტომბერი, 2012წ.

ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკის დებულება

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ბიბლიოთეკის ამოცანები და მიზნები 3

მუხლი 3. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები 3

მუხლი 4. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა 4

მუხლი 5. ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება–მოვალეობანი 4

მუხლი 6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები 5

მუხლი 7. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები 5

მუხლი 8. ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა ბეჭდური მასალის გაცემის წესი 6

მუხლი 9. მკითხველის პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისას 6

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი 6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის (შემდგომში - ,,სკოლა-გიმნაზია“) ბიბლიოთეკა არის კულტურულ–საგანმანათლებლო, სამეცნიერო–ინფორმაციული ორგანო, რომლის ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდი და რესურსები მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

1.2. ბიბლიოთეკა დაფუძნებულია ,,სკოლა–გიმნაზიის“ მიერ და არის მისი სტრუქტურული ერთეული, მასში განთავსებულია ბიბლიოგრაფიული ფონდი – საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, აგრეთვე ისტორიული, რელიგიური, მხატვრული, შემეცნებითი, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული მასალა;

1.3. ,,სკოლა–გიმნაზიის“ ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, ,,სკოლა–გიმნაზიის“ დებულებით და შინაგანაწესით და აგრეთვე ამ დებულებით;

1.4. ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგია: 9:30 – 16:00 სთ;

მუხლი 2. ბიბლიოთეკის ამოცანები და მიზნები

2.1. ,,სკოლა–გიმნაზიის“ ძირითადი ამოცანაა წიგნიერების, ეროვნული მემკვიდრეობისა და ქრისტიანული ღირებულებების დაცვა–პოპულარიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;

2.2. სასკოლო ბიბლიოთეკის საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი;

2.3. ამ მიზნების მისაღწევად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს:

ა) მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);

ბ) ხელსაყრელი პირობების შექმნას პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის;

გ) შესაბამისი პროფილების ლიტერატურისა და დოკუმენტების შეგროვებას და მათ სათანადო დაცვა–მოვლა–პატრონობას;

დ) საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის ხელმისაწვდომობასა და მომსახურების მაღალ დონეს როგორც ადგილზე, ისე სახელმძღვანელო და სხვა სახის ლიტერატურისა და დოკუმენტების დროებით სარგებლობაში გაცემით;

მუხლი 3. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები

3.1.ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

ა) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;

ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა;

გ) ოპერატიულობა;

დ) საბიბლიოთეკო სტატისტიკის წარმოება, კავშირების დამყარება და საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან და გამომცემლობებთან;

ე) თანამედროვე ელექტრონული სისტემის დანერგვა საბიბლიოთეკო საქმიანობაში, ინტერნეტის გამოყენება მკითხველთა მომსახურებისა და საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად;

ვ) საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება;

მუხლი 4. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა

4.1. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც ნიშნავს ,,სკოლა–გიმნაზიის" დირექტორი ა(ა)იპ ,,წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის" რექტორთან შეთანხმებით და თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია მათ წინაშე;

4.2. ბიბლიოთეკარის შრომითი ურთიერთობა რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.3. ბიბლიოთეკარი:

- წარმართავს და ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის საერთო საქმიანობას;
- აანალიზებს და ითვალისწინებს ,,სკოლა–გიმნაზიის" საზოგადოების მოთხოვნებს;
- აწარმოებს საბიბლიოთეკო მასალების კატალოგიზაციას და კლასიფიკაციას;
- დახმარებას უწევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ბიბლიოთეკის რესურსებთან და საინფორმაციო ტექნიკასთან მუშაობის საქმეში;
- ახორციელებს კითხვის პროპაგანდის და კულტურული ღონისძიებების პროგრამებს;
- მონაწილეობს სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებაში;
- მონაწილეობს სასწავლო პროცესის მომზადებასა, განხორციელებასა და შეფასებაში;
- ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა ორგანიზაციებთან;

მუხლი 5. ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება–მოვალეობანი

3.1.მკითხველი უფლებამოსილია:

- მიიღოს ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურა და დოკუმენტები – ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესაბამისად;
- მიიღოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ;
- ისარგებლოს ბიბლიოთეკის საინფორმაციო საშუალებებით;
- მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება, თუ ეს პროცედურა ტექნიკურად არ დააზიანებს დოკუმენტს;
- მიიღოს მონაწილეობა ბიბლიოთეკის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში;

3.2.მკითხველი ვალდებულია:

- გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების ორგანულ ნაწილს;
- მკითხველი, რომელიც დაარღვევს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, აანაზღაურებს ზარალს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით დადგენილი ნორმის შესაბამისად. მასვე

ეკისრება სხვაგვარი პასუხისმგებლობაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3.3.ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:

- საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციები განახორციელოს დამოუკიდებლად;
- ბიბლიოთეკის ფონდები განაგოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად;
- მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ან მატერიალური ზარალს აყენებენ ბიბლიოთეკას;
- ეწეოდეს კანონით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას;

3.4.ბიბლიოთეკა ვალდებულია:

- თავისი საქმიანობა წარმართოს კანონმდებლობის და ამ დებულების საფუძველზე და მათ შესაბამისად;
- სისტემატურად დააკომპლექტოს ფონდი პროფილის შესაბამისად და უზრუნველყოს მათი ასახვა ბიბლიოთეკის საცნობო–საძიებო საშუალებებში;
- შეადგინოს და გააცნოს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე მათი ინტერესების შესწავლისა და ბიბლიოთეკის რესურსების კოოპირერირების საფუძველზე;

მუხლი 6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

6.1.ბიბლიოთეკაში გაწვრიანების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) პირადობის მოწმობა;

ბ) მოსწავლის ბილეთი;

გ) ერთი სურათი ზომით 3x4

6.2.ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისას მკითხველი ვალდებულია გაეცნოს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, რასაც ადასტურებს მკითხველის ბარათზე ხელმოწერით;

6.3.მკითხველს უფლება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკის კომპიუტერული მომსახურებით;

მუხლი 7. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

6.2.მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს დაიცვას შემდეგი წესები:

- არ იხამაუროს და ხელი არ შეუშალოს სხვა მკითხველს;
- დაიცვას ქცევისა და ეთიკის ნორმები;
- წიგნზე მუშაობის დამთავრებისთანავე დააბრუნოს წიგნი უკან;
- ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე გამორთოს მობილური ტელეფონი;
- ჯგუფურად მუშაობისას ხელი არ შეუშალოს სხვა მკითხველს;
- გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზას;
- დაიცვას ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

6.3.მკითხველი ვალდებულია:

- ფაქიზად მოეპყრას ბიბლიოთეკის თითოეულ ბეჭდურ ერთეულს და დააბრუნოს განსაზღვრულ ვადაში, დადგენილი წესით;
- არ გააკეთოს წიგნზე, ბეჭდურ ეგზემპლარზე და დოკუმენტებზე ჩანაწერები, ჩანახატები და შენიშვნები;
- არ ამოხიოს, ან სხვაგვარად არ დააზიანოს წიგნი, ან სხვა ბეჭდური მასალა. წიგნად ფონდთან დაშვებისას არ გადააადგილოს წიგნები;
- არ ამოიღოს ფორმულარი წიგნიდან, არ ამოიღოს ბარათები კატალოგიდან;
- წიგნის ან სხვა მასალის მიღებისას გულდასმით შეამოწმოს ის და დეფექტის აღმოჩენისას შეატყობინოს დაუყოვნებლივ ბიბლითეკარს;
- სამკითხველო დარბაზში წიგნზე მუშაობის დამთავრებისას დაუყოვნებლივ დააბრუნოს იგი და არ გაიტანოს წიგნი თვითნებურად;

მუხლი 8. ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა ბეჭდური მასალის გაცემის წესი

8.1.სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები) – გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ყველა კატეგორიის მკითხველზე;

8.2. ენციკლოპედიები, საცნობარო ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები – გაიცემა მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

8.3. მხატვრული ლიტერატურა – გაიცემა 10 დღის ვადით;

8.4. სასწავლო წლის ბოლოს, ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე მკითხველი ვალდებულია ჩააბაროს ყველა მასზე გაცემული მასალა;

8.5. ,,სკოლა–გიმნაზიიდან“ წასვლის, დათხოვნის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დააბრუნოს მასზე გაცემული ყველა მასალა;

მუხლი 9. მკითხველის პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისას

9.1. თუ მკითხველი დაარღვევს ამ დებულებაში აღნიშნულ ვალდებულებებს და არ დაემორჩილება ბიბლიოთეკარის მოთხოვნებს, ამ უკანასკნელს შეუძლია მის მიმართ გამოიყენოს იძულებითი ზომები: ჩამოართვას წიგნი, დაატოვებინოს დარბაზი, უარი უთხრას მომსახურებაზე და გადასცეს ამ მკითხველის ქცევის შესახებ ინფორმაცია ,,სკოლა–გიმნაზიის“ დირექციას;

9.2. მკითხველს, რომელიც ზარალს მიაყენებს ბიბლიოთეკის ფონდს, ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა და ზარალის სრული ანაზღაურება;

9.3. ზარალის ოდენობასა და ღირებულებას განსაზღვრავს კომისია;

9.4. მკითხველი წიგნის დაკარგვის შემთხვევაში ვალდებულია შეცვალოს იგივე დასახელების და ავტორის წიგნით, ან შინაარსობრივად ტოლფასად მიჩნეული წიგნით;

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

10.1.ბიბლიოთეკის დებულებას ამტკიცებს ,,სკოლა–გიმნაზიის დირექტორი“;

10.2. ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ,,სკოლა–გიმნაზიის“ დირექტორის ბრძანებით;